ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და აცხადებს კონკურსს თსუ აკადემიური პერსონალისთვის (პირველი სამიზნე ჯგუფი) ევროპის 8 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაცვლითი სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

http://www.electra-project.eu/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი**
ცნობა სტატუსის შესახებ	გაცემული პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ, რომ ამჟამად რეგისტრირებული ხართ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ პერსონალად (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ დოკუმენტი არ არის ინგლისურ ენაზე)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	ენის საერთაშორისო სერთიფიკატი არ ეხებათ თსუ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს, რომელთა სამუშაო ენა არის ინგლისური (ან შესაბამისი უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სხვა ენა: გერმანული, იტალიური და ა.შ) და თუ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა შეუძლიათ. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
ნაშრომები/პუბლიკაციები/სამუშაოს აღწერილობა	აკადემიურმა პერსონალმა უნდა წარადგინოს ნაშრომებისა და პუბლიკაციების სია. ადმინისტრაციულმა პერსონალმა სამუშაოს აღწერილობა და მოვალეობები
მოტივაციის წერილი	განმარტეთ რა გავლენას მოახდენს თქვენი მობილობა მშობლიურ უნივერსიტეტზე, მოსალოდნელი თანამშრომლობის შესაძლებლობები (ინგლისურ ენაზე)
მხარდაჭერის წერილი მშობლიური უნივერსიტეტისგან	დასტური, რომ თსუ-ს აქვს აკადემიური ინტერესი ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღებით და დაბრუნების შემდეგ მოახდენს თქვენს ინტეგრირებას უნივერსიტეტთან
მიღების/დაინტერესების წერილი მასპინძელი უნივერსიტეტისგან	მასპინძელი უნივერსიტეტის კვლევითი განყოფილების, ფაკულტეტის, მიმართულების, ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელის წერილი, რომ თქვენ შესაბამისი ხართ თანამშრომლობისთვის
CV	ევროპული ფორმატი
რეკომენდაციის წერილი	თსუ-ს მიერ გაცემული (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)

პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. ოლდენბურგის უნივერსიტეტი, გერმანია
2. ოულუს უნივერსიტეტი, ფინეთი
3. ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ესპანეთი
4. ლიმერიკის უნივერსიტეტი, ირლანდია
5. კრაკოვის იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი
6. ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, იტალია
7. მინოს უნივერსიტეტი, პორტუგალია
8. სოფიას ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის უნივერსიტეტი, ბულგარეთი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
http://www.electra-project.eu/index.php/homepage-2/study-and-research-opportunities
პრიორიტეტული მიმართულებებია: მდგრადობა და გარემოს დაცვა
მობილობის პერიოდი: 2014/2015 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლივობა: 1 თვე
სტიპენდია მოიცავს 2500 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2014 წლის 30 იანვარი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ანი ჭელიშვილს,
თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში, ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge
(თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121)